6.

# ც ი ს კ ა რ ი.

ქართული

სიტყვიერებითი

ჟურნალი

1853 წელსა

ივნისი.

ნუ. 6.

საქართველოს ... თბილისი ... ბიბლიოთეკა

## ПЕЧАТАТ ПОЗВОЛЬЯЕТСЯ,

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлены были въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 1 Іюля 1835 года.

Исправляющій должность Грузинскаго цензора *Св Алексѣевъ.*

Въ Типографіи К. Г. Эристова.

# ც ი ს
# კ ა რ ი.

ქართული სიტყვიერებითი
ჟ უ რ ნ ა ლ ი.

( განგრძელება )

ცინნა - ტრაგედია.

გამოცხადება მეოთხე.

ავგისტო, ლივია.

ავგისტო.

მე მძალატობენ ლივიავ, და ვისგანც სული მეხდება,

მისგანჳე გულის სიმტკიცე სრულიად მომაშურდება,
სინნა მუხთალი. . . .

ლივია.

ეფორბემ ყველა დაწვლილვით მაცნობა.
ამა ამბავმან განმაკრთო, მიკვირს ვითღა მრჩა გლახ ცნობა!
გარნა ჴელმწიფევ იქმნება გავბედო რჩევა მდედრული?

აგვისტო.

ეჰა რჩევათა შედგომას ნეტარ უძლებსდა ეს სული!

ლივია.

რა მოიპოვეთ[illegible]უსდენთა, გულის წყრომათა ხმარებით,
აჰა მრთელად ერი დადადებს და დრტვინავს გამოცხადებით,
ერთის სასჯელმან მეორე, ვეროდეს ვერ შეაშინა;
სალკიდიანეს დაცემამ, ლეპიდე წარმოადგინა,
მის შემდგომ იყო მურენოს, და მას სცეპიონ შეუდგა:
ორნივე მოსწყდენ წამებით, ორთავ დღებნელი დაუდგა,
მარამ ეგნატის სიცოფე არ შეკრთა მისის ზარითა,
რომელს დღეს სინნა მემკვიდრობს განზრახვით მითვე გვარითა,

და უძვენაესთ ალაგთა შთაფლულნი უჩინოებას,
ესრეთის მადლის განზრახვით ცდილობენ აზნაურებას,
რადგან ესდენ გზის იხილეთ რისხჳათა ამაოება,
აწ გამოსცადეთ სინნაზე სულგრძელებისა ხმარება;
რცხვინებით ოდენ განსაზღჳრეთ, სასჯელი მისის ზრა-
ლისა,
განსაჯეთ რაცა გიჯობდესთ და აღასრულეთ კჳლავისა,
თუ დაჰსჯით ეს ქალაქი შეიქმნას თქჳენზე მდრტვინ-
ველი,
და მიტევებით უეჭოდ უფროს განგეთქჳას სახელი,
და რომელნიცა შერისხვით არიან წყინებულნი,
ნუ თუმცა მოწყალებამან თქჳენმან მოუგოს გულები.

აგვისტო.

არა, მოვიგოთ იგინი კელმწიფებისა ტევებით,
რომლისაც გამო მდევნიან ესრეთის უწყალოებით,
რჩევათა შენით მრავალგზის ვისმინე სხჳისა და სხჳისა.
აწ კმარა, ნუმცა მიხსენე, არღა მწადს რჩევა არვისი,
თავისუფლების მგლოველო, რომლო ნურღა ხარ მკჳ-
ნესელად,
მონების ჯაჭვნი თუ დაგსდევ, მევე მექმნა მათ დამხს-
ნელად,

და ოდეს ძლევით დაგიმშვრო, ვით მას ჟამს იყავ შედგ-
მული,

მათზე მშვიდობით გიტყო და უფროს განდიდებული,
აწ თუ გნადს ჩემი მტერობა, მიმტერე დაუფარავად,
თუ შემიყვარებ გიუჰარდე, უშიშრად, შეუხარავად,
სილლასებრ გსდევდი აქამდე ძლიერებას და დიდებას,
მისებრ მომწყუანდენ და ვეძებ მასებრივს ბედნიერებას.

ლივია.

არ ახლად გხედავ მე თქუენგან, მისთა მაგალითთ
შედგომას,

მარამ ვიშიშვი ეგრეთის მობაძვის ავათ მოხდომას,
ბედმან უებროდ ჰქმსახურა და ამად წარემართა მას,
არ უველა მისებრ ეწიოს ეგრეთსა ბედნიერებას,

ავგვისტო.

თუ არ ღირს ვიყო მას ბედსა და იგი არა მეწიოს,
აჰა მზა სისხლი ვისაც ჰსწადს, მოვიდეს აწვე დასთხიოს,
ნავთ საყუდელი აქუს სახოდ, არ შურსა შინა ვარდნი-
ლსა,

მეც ნავთ საყუდლად აწ ვეძებ, მყუდრობას ანუ საკუნდი-
ლსა.

ლივია.

რაჲ, გწადდათ უტეოთ, ნაყოფი ესდენ შრომათა?

აგვისტო.

და შენ გწადს რომე დავიცვა მიზეზი ესდენთ მტრობათა?

ლივია.

კელმწიფევ თქუენგან ეს გუარის კიდურის ღონის
მიერა,
უსასოება იქმნება და არა გულის უხვება.

აგვისტო.

ვმეფობდე და გულთ მუხთალთა, უფოვდე დაყუავებ-
ასა,
ჩემს უძლურებას დანიშნავს, არა თუ მოწყალებასა.

ლივია.

თქუენს შემძლებლობას დანიშნავს, რომე თჳს ზედაც
კელმწიფებთ,
და რაც მეფეთა შეჰშუენის საქმნელად მას აღმოირჩევთ,

აგვისტო.

მდედრული რჩევა აღმითქვი და ნამდვილ აღთქმას მი-
სრულებ,
აჰა ოც წელ არს მუნით რა, ამა ქუეყანას ვკელმწიფებ,

რავდენნი მტერნი დავსთრგუნე, და დავკეც მათი მძლავ-
რობა,
გამოცდილებით გამოვსცან საზრხეთ სხუა და სხუა გვა-
რობა,
ვსცან რაჲცა აქჳს საგანი მათსა წადილსა უსაზღჳროს,
და ესრეთ შინა შემთხვევას ვითც ხამს მეფემ ისაქოს,
მეფეთა ზედა ამბოხი, ერთა ჴსჩანთ თჳსდა წყინებად,
და ოდენ ჴაზრისაც ესრეთსა ხადიან დიდ ხდომილებად!
ვინც აწყენს საზოგადოჲას, მთავართ ვალია მსჯავრობა,
ან დამსჯელ ექმნენ ბრალეულთ, ანუ გარდასდვან მთა-
ვრობა.

ლივია.

ნუ ეგზომ დარწმუნებიხართ ამჟამად გულისა ვნებას.

ავგისტო.

ჴსჯობს რომე შენ არ შეეპყრე დიდების ამაოებას.

ლივია.

ნუ ხადით ეგრეთ ამაოდ სასარგებლოსა რჩევასა,

ავგისტო.,

ზენა მამხილებს მე ყოფად რაცა ჴსწადს მისსა ნებასა,
მშვიდობით დროთა ნუ ვკარგავთ.

ლივია.

ჴელმწიფევ მე არ განგშორდე,
ჩემსა სურვილსა ჲ თხოვას ვიდრემდე არ კმა უყოფდე.

ავგვისტო.

დიდების მოყვარებითა შექმნილხარ გაუმლებელი.

ლივია.

მე თქჳენ მიყჳარხართ არა თუ სკიპტრა ჲ საბრძა-
ნებელი, ( მარტო )
განმევლტო გარნა ვემდესვრო, მოვაგოთ იგი ამ ცნო-
ბას,
რომ მიტევებით უფრორე იმტკიცებს შემძლებელობას,
ჲ რომ ამ სოფლთა ყოვლთაზე, ჴელმწიფეებთ მაშვენე-
ბელი,
მოწყალებაა, სამკაულ, ერისა თვალთა მთნებელი.

გამოცხადება მეხუთე.

ემილია, ფულვია.

ემილია.

სითგან მომდის მე ესრეთი უხამსი მხიარულება,

და უნებლიეთ ქს გვარად გონების დამყუდროება!
კეისარს ცინნა უხმია, და არა რად ვხად საწყენად,
არც გული მიკვნესს, არაცა ვარ, თვალთაგან ცრემლის მადენად;
თუ სთქუა წინასწარ გრძნობა რამ, იდუმალ მეუბნებოდეს,
რომ ყოველივე ვითაც მწადს, ჩემს სათნოდ გარდაწყუდებოდეს,
ჳსწორეთ შემესმა ჶულვიავ? ეგრეთ მიამბე თუ არა?

ჶულვია.

ესდენ ვეცადე რომე მან სიკუდილზე ფიქრი აჴუარა;
და თქუენდა მომართ მოიყვანდა, უფრო გულ დამშვიდებული,
თქუენის განზრახვის საბრძოლად მეორეთ განმზადებული,
მით კმაყოფილი ვიდოდი, ოდეს პოლიკლეტ მოგვმართა,
სარწმუნო აღმსრულებელმან ყოველთ აგვისტოს ნებათა;
იგი უხმოვნად მოვიდა, კაცი არვინ ჰყუა ხლებულად,
და სინნა წარიყოლა თან, პალატსა დაბარებულად,
აგვისტო შეშფოთებულ არს, და რისთჳს არა იციან,

თჳთოეულნი მიზეზსა სხჳა დ~ სხჳა გჳარად იტყვიან,
დ~ ყველა ჰგონებს ვითარმედ ვარდნილი მწუხარებასა,
ციննას ამისთჳს უწოდეს, რომ მას ჰკითხევდეს რჩევასა;
მარამ ერთი რამ მომესმა, დ~ ეს მაქჳს უფროს საწუხ-
რათ,
ვითარმედ მოდან ევანდრე, ორთ უცნობთ ვისმე შეეპ-
ყრათ;
ეგრეთვე ზოგნი ეფერებეს პყრობილებასაც ამბობენ,
დ~ მისის პატრონისათჳს გარდარეულად მოსთხრობენ,
რომ სასოწარკვეთილება მოარეოდეს მას საშინლად;
ტიბრს ახსენებენ წყალს დ~ სხჳა ვერარა ვსცან ნამდვი-
ლად,

ემილია.

მრავალ მიძს მიზეზ შიშისა დ~ არარაჲ იმედად,
მარამ ეს გული საბრალო არ დრტვინავს არცა მცირე-
დად,
მარად ახლითა შემთხვევით, ცისაგან გარდმოვლენილი,
გრძნობა ეცემა ნუგეშად დ~ მით აქჳს ჯირი ლხენილი,
მოდან ამაო ფიქრითაც, ბევრგზის ვყოფილვარ შემკრ-
თალი,

აწ ოდეს მმართებს ვმრწოლევდე, შეუპოვრად ვარ ვით
სალი. . .
ვგრძნობ, ღმერთნო, თქჳენთა წყალობათ, თქჳენ
მხოლო მოვარავთ მადლითა,
თქჳენ არ ჰსთმობთ, რომე პატივი, დავთრგუნო უძლუ-
რებითა,
მიკრძალაყთ ცრემლთა, ოხრვათა, და ამაოთა გოდებათ,
და მწეობთ რომე არ მძლიონ ესდენთა უბედურებათ,
თქჳენ გწადთ სიკუდიდმდე ვხმარობდე დიდსა მის გუ-
ლის სიმხნესა,
რომლითაც ვიდავ ძლეყოფად ესრეთ საჩინო საქმესა,
მტკიცედ აღვითქუამთ ეს გჳარად დავლიო ჩემი ცხო-
ვრება,
დავსრულდე შეურყეველად და თქჳენი სრულ ვჰყო მით
ნება,
ჰოი რომის თავისუფლებავ! ჰოი სულო კლულის მამი-
სავ!
მე გლახ ჩემ კერძო რაც მექლო, საქმნელად ყოველივე
ვჰყავ,
თქჳენსა მტარვალზე აღვქურე, თჳთ მისნი მეგობარ-
ნივე,

მეტი ვქმენ ვიდრე მმართებდა, ყოველი ძალი განვლივე,
თუ წარმართება არ მქონდა მაგით რა ევნოს ჩემს სახე-
ლს;
რა ვერ ვეღირსე თქჳენის ზღვევას, ვეღირსო თქჳენსა
საყოფელს,
მუნ მიხილოთ მე რისხვითა, საქებრად აღტყინებული,
სახიერითა სიკჳდილით. ეს გჳარად განსხჳავებული,
რომე მყისად ჰსცნოთ ვინც ვარ და ვისიც მომდევს ტო-
მობა,
ზედან მეწეროს ჩინებულთ გმირთაგან შთამომავლობა.

გამოცხადება მეექჳსე.

მაქსიმე, ემილია, ფულვია.

ემილია.

მაქსიმე აქ ხართ? მოდიან თქჳენი სიკჳდილი მიამბეს.

მაქსიმე.

აგვისტოს საცდუნებელად ეგ მოეგონა ეფორბეს,
რა თჳსი ჰყრობა ენახა და საქმის გამოცხადება,

ჩემ დასახსნელად ერჩია ჩემის სიკუდილის დაგდება

ემილია.

რასა იტყუიან ცინნასთჳს.

მაქსიმე.

დიდს შეძრწუნებას და ძრწუნვას,

რომ თქუენნი საიდუმლონი სრულად უცვნია კეისარს,

თუმცა ცინნას მტკიცედ უფარავს და შმთარა აღუარებელად,

მარამ ეგანდრეს ყოველი უთქუმს მის განსარინებულად,

და აწ აგვისტოს ბრძანებით თქუჱნს შესაპყრობლად მო-
დიან.

ემილია.

რომელთაცა აქუს ბრძანება, სრულ ყოფად რადღა
ჰყოვნიან?

მე მზა ვარ მათდა გაყოლად, ოდენ მწყენს დაგვიანება.

მაქსიმე.

ჯერ არს ჩემს სადგომს მობძანდეთ.

ემილია.

თქუჱნს სადგომს?

მაქსიმე.

რად გეოცება.

ჰსცანით თუ ღმერთნი ვით ზრუნვენ რომ იხსნეთ ამა სა-
საბრხითგან,
ვისაც აგვისტომ უბრძანა იგია შეთქმულთ დასითგან;
მით ვისარგებლოთ, წარვივლტნეთ, ვიდრე არვინ გვიძს
მდევნელად,
აქა ხომალდი განმზადულ, ჩუენთ თავთა მოსარჩენე-
ლად.

ემილია.

არ უწყი ვინ ვარ მაქსიმე? ანუ შენ ჩემს გულს ვერ
იცნობ?

მაქსიმე.

მე ცინნას სარგებლობისთჳს ქმნად რაცა მალმიჩნს
მას ვცდილობ?
ჭ ამ უბედურს დღეს შინა ვისწრაფ მას ვეძო მშველე-
ლად,
ვისთჳს მას მარად მზა ჰქონდა სულიცა შესაწირველად,
ჟამ არს წარვიდეთ, ემილი, დავიცვათ ჩუენი ცხოვრება,
რომ შემდგომ უკუნქცეულთა, შევიძლოთ ზღუევის სრუ-
ლება.

ემილია.

ცინნასებრთ კაცთა მეგობართ ჰმართებთ ჰშთაჰყვნენ
მას სამარეს;
ვინც ზედ უწყვას ზრახავს ჰგავს ნუკავს, უმისოდ კულავცა
სიცოცხლეს;
მისის სიკუდილის შემდგომად თუ ვინმე ყოფას ემებდეს,
არ ღირსა რომე სადამე ქუეყანას ზედა არსებდეს.

მაქსიმე.

შენ სასო წარკვეთილებამ ვით აღგიტაცა ეგზომად;
ჵ ღმერთო ესდენ სიმტკიცე და უძლურება ერთბამად!
გული ერთა მხნედ ცნობილი, შებრძოლევას ვერა ჰბედე-
ვდეს,
და მასზე უბედურება ერთის დაქროლვით მძლეობდეს!
მოვე იბოვე კულავისებრ მაღალი სახიერება;
აღახვენ თვალნი და იცან მაქსიმეს გულის აღგზნება;
მერე ცინნა იხილე წინაშე შენსა მდგომელად,
ნაცვლად წუმედულის საუჯარლის ცისავან წარმოვლე-
ლენად,
ვითც მეგობრობის კავშირით ჩუენ ორნი ერთ სულ ვი-
ყუენით,
ეგრეთ თქუენ ტრფობის საგნად მის მაგიერად მე მექ-
მენით,

ვფიცავ, მეც მისებრ მხურვალეს და მგზნებარესა გწირავ გულს. . .

ემილია.

ვითარ! შენ სიკუდილს ვერ ჰხედავ და ჰხედავ ჩემსა სიყუარულს!

არ მცირე სასო გქონია; გარნა გინდ იმედოვნებდე,
ხამს რასაც ითხოვ მიღებად, თავს ღირსად გამოაჩენდე;
ანუ სიკუდილის შიშითა ეხსენ ლტოლვასა მუხთლურსა,
ანუ ნუ მკადრებ შემლევად მე გულსა ეგრეთ მაზუნსა;
სახიერება აჩინე რომ შურით მყო მის მნატვრელად,
და თუ ვერ მპოვე ტრფიალად, მქმნა ცრემლით მომგონებელად,
გამოაჩინე რომაელთ უკიდურესი მხნეობა,
მე დამსვი შენთჳს მგლოვარედ, იქმავე ღირს სახსოვრობა. . .
თუარა მხოლოდ მით ამტკიცებ შენ ცინნას მეგობრობასა,
რომ მისთჳს მტირალს საყუარელს აწ უყოფ ალერსობასა?
მოვედ და ჩემგან ისწავე ნამდვილი თანამდებობა,

ან მაგალით მეც, ან ჩემში იხილე მაგალითობა,

მაქსიმე.

საჯმუნვოდ კმა გაქჳს მიზეზი, მარამ ერიდეთ ვნე-
ბასა.

ემილია.

და შენი ჯმუნვა ვითარ ჰსჩანს არ გიშლის ჴელოვ-
ნებასა,
წინასწარ მაძლევ იმედად ბედნიერად უკუნქცევასა,
და ამა მწუხარების დროს, გულს ახლად ინერგ ტრფო-
ბასა.

მაქსიმე.

ეს ტრფობა დასაწყისსავე, განსხჳავებულად ძლიერ
არს;
მე შენში ვუჳარობ შენს სატრფოს, და ჩემს სარწმუნო
მეგობარს,
მისებრივითვე ცეცხლითა მოგმართე აღტყინებულმან. . .

ემილია.

მაქსიმე მიყვარს ეგ ვით სთქჳ, ეგრეთ გავერაგებუ-
ლმან!
განცემულობა მაოცებს, არათუ ვეშინოდე მას;

ვერც სასო წარკვეთილებით შემწამების ვინმე დაბრმო-
ბას,
ჩემ შორის მტკიცედ მოქმედებს მარტოდენ მეტრფობა,
და აწ უმეტეს განვიცდი ვიდრედა ხედვად მენება.

მაქსიმე.

რაჲ? ნუ თუ თქუენ რაგვარმე მხედოდეთ მ[illegible]ლა[illegible]-
ობელად?

ემილია.

რადგან თქმად იმულებულ მყავ, მუხთალ ხარ უვა-
ლობელად,
რომელიც მოგიხდენია გაქცევის დაწყობილობა,
თჳთ მით ჰსჩანს ვითარიცა გაქუს გულს იდუმალი მუხ-
თლობა,
დიდიმცა იყო ღმერთთაგან სასწაულთ გამოჩინება,
თუცა უშენოთ მათ ექმნათ ეგრეთი განკარგულება,
წარვედ ივლტოდე უჩემოდ; უხამს არს შენი სურვილი.

მაქსიმე.

ეჰა რა მესმა უბედურს!

ემილია.

სხუაცა მრავალ მიძს სათქმელი,

მაშინც ნუგეშის მე შენი არდა ვიკადრო უვედრება;
მარა ნუ ჰგონებ შეიძლო ცრუ ფიცით ჩემი ცთუნება,
თუ თაკილობით შერაცხო სიცრუვე შეწამებულად,
მოველ ჩემთანა მოიკალ მაშინ გცნა განმართლებულად.

მაქსიმე.

ჰსცხოვრებდი მშჳტნო ემილი, ჩემებრ მონასა დაუ-
თმენ. . .

ემილია.

ყურს აღარ გიპყრობ, თუ გწადის, მოი ოკტავთან
მეჳჳბენ

ფულვიავ, კმა არს, წარვიდეთ.

გამოცხადება მეშვიდე.

მაქსიმე.

ვაჰმე უსასასოდ რჩენილსა!
ამისგან უმცირესისაც უარის დარსსა, რცხვენილსა?
ან რას განიზრახ მაქსიმე, რასა დაასკვნობ, რასა ჰყოფ?
შენს კელოვნებას ამაოს ვითარს სასჯელსა მზა უყოფ?
მომჩვენებელთა ნუგეშთა, ნურღა ემიებ უზრალოდ,

ვიდრე დასჯიდენ, ემილიმ, სრულ გაგამჟღავნოს უწყალოდ,
მისის სახელის დიდება და ქჳყანად შენი რცხვინება,
მისის სიკჳდილით ორივე ერთადრე გამოცხადდება,
და ქე გჳარი სასჯელი საშვილის შვილოდ დაშთების,
სამარადისოდ სახსოვრად, გლახ შენის უსჯულოების,
მრუდის სიმარჯვით, ერთსა დღესა, აჰა რაჲ ჰყავ საზარლად,
კელმწიფეს, სატრფოს, მეგობარს, სამთავ უმუხთლეს ერთბამად,
სჯულნი საღმრთონი ესდენ გზის არღვივე სული განსწირე,
ორნი უებრო ტრფიალნი მტარვალსა მსხჳერპლად შეჰსწირე,
და რა მოისთველ ნაყოფად? შერცხვენა, ტანჯვა სულისა,
რომელსაცა სწვავს სამართლად, აწ ცეცხლი სინანულისა.

ეფორნე აჰა რა მიქმნეს, შენთა უკადრთა რჩევათა!
მარა რად მიყვირს რაჲ ჰყონ, კეთილი კაცთა შენ გვართა!

მონა განთავისუფლებით, ვერ იკვეთს თჳსსა ზნეობას,
მდგმოობას ოდენ შეიცვლის და არა მდაბალ სულობას,
მას მალსა უკანონოსა შენგამო უქმენ მონება;
შენგან დავთრგუნე ჩემისა, შთამამავლობის ღირსება,
გული მას არა მითქმიდა, მარა შენ ჰსძლივე შებრძოლვით,
მისი მოველი სიკეთე, შენგან წარმიწყდა შეგესლით,
შენგან მიშრტება ცხოვრება, შენგან მეკარგვის სახელი,
შენის რწმუნებით მომიხდა უბედურს ესე ყოველი,
გარნა თუ ღმერთნი მწე მეყვნენ, ნაცვალი მეცა გაზდ-
ვიო,
და სისხლი შენი ორთა მათ ტრფეიალთ წინაშე დავსთხიო,
მაშინ განვბანო მარცხვენი ბიწი ჩემსა მას ცოდჳასა,
რომ მოგენდევ და შეუდეგ, შენსა ბოროტსა რჩევასა,
ეგ გჳარ წმენდილი, ვსასოებ მსხჳერპლად არ დავი-
წუნები,
თავსა კელითა მოვიკლავ და გლახ მათ შევეწირები.

დასასრული მეოთხის მოქმედებისა.

## მოქმედება მეხუთე.

### გამოცხადება პირველი.

ავგისტო, ცინნა.

ავგისტო.

ცინნავ, მოიღე სავარძელ, დასჯედინ და რაც სათ-
ქმელად,
მაქუს შენდა, ჯერ არს დაიცვა ვით სჯული გარდუხდ-
ომელად,
მიპყარ ყური, დაჰკრძალე ხმა, მასზედა გიხმობს მკაცრ-
ობა,
არას სიტყვით, არას სახით, არ განსწყვიტო ჩემი თხ-
რობა,

დაადვ ჯაჭვი მდუმარების ენასა, ჰყავცა კრულად,
და თუ ამა თმენა დიდმა გულს ვითარმედ უჩვეულად,
სრულ ვყოფ მერა გცემ ნებასა მაშინ მექმნა პასუხის მგე

ამას ოდენ გთხოვ შენ აღთქმად და აღთქმაზე ჯერარსკი
სდგე.

ცინნა.

კელმწიფეო ნება შენი დავიცვა.

აგვისტო.

მაშა სადამე,
განსოვდეს ეგე აღთქმული და სრულ ვჰყო აღვითქუა რა-
ცა მე,
ცინნავ შენ აწე სოფლად ხარ და სოფლად შენნი მო-
მყვარნი,
მტერ იყვნენ მამის ჩემისა და ჩემის სისხლით მომყმარნი,
მათთ ბანაკთ და სჳათა შორის გიდო შენ მუცლად მშო-
ბელმან,
და ოდენ მათსა შემდგომად მიგიღე შენმან მფლობელ-
მან,
მათგან ჩემისა მტრობისა ფესვნი განართხნი შენს გუ-
ლსა,
მაშინვე ჩემად საგვემლად გცემდენ მახვილსა ლესულსა,
ჯერეთ შობილცა არ იყავ, რომ გქონდა ჩემი მტერობა,
და ოდეს მიცან მაშინაც არა განაგდე ეს გრძნობა,

ვინცა ვისითა სისხლითა შეღგმულ, შექმნილა, შობილა,
მისი მსგავსება მას შინა ღია ძნელადმე ქრობილა,
შენ ეს თჳთ საქმით მაჩვენე, რაოდენცადა მაღ გედგა;
მე დასჯის ნაცვლად გაცოცხლე, ჩემგან გაქჳს სინა-
თლის ხედვა;
ტყჳე იყავ და ტყჳე აღგავსე, ყოვლის კეთილის მრა-
ვლობით,
დილეგის ნაცვლად ჩემს სრას გსვი, ჯაჭჳთა წილ გტ-
ვირთე წყალობით,
პირველად უკუნ გიქცევე მამული რომე მიგიღე,
მერე ანტონის საუნჯე განსაზიდველად განგიღე,
და უწყი რომე დღეღამე შენთჳს არარა მშურვის;
უხვება ჩემი შენზედა განლევად მიცა მწურვის,
რაცა რა მსთხოვე ხარისხთა ანუ ადგილთა ბოძება,
მყისვე ყოველი გისრულე მოგეცინ არ ვჰყავ დროება,
მათგანცა გირჩიე რომელთა მამანი ჩემსა ბანაკსა,
უფროსობდიან ყოვლთაგან იპყრობდენ პირველს ალა-
გსა,
მათგანცა რომელთა სისხლითა მიუღეს ესე მეფობა,
და რომელთაგან აწე მაქჳს სოფელს ცხოველად მყოფ-
ობა,

მოკლედ ვსთქუა ჩემნი კეთილნი შენზედ მუნამე ადიან,
რომე მძლეველნი ძლეულის ბედნიერებას ნატრიან,
შემდგომ რომ ღმერთთა ამ სოფლის მეცენნატისა მიდე-
ბით,
წყალობა თჳსი ჩემზედა ჰცვალეს მსგეს ცრემლთა დინე-
ბით,
შენ დაგადგინე მის ნაცვლად დღეს მას საწუხაროსა,
და გრაცხდი ვით უმწვერვალესს ჩემის გულისა სანდოსა,
თჳთ დღესაც ოდეს ვარდნილი დიდს ღელვა გვემულე-
ბასა,
ვსწადოდი სრულად ტევებას თჳთ მპყრობელურსა ნე-
ბასა,
შენ და მაქსიმე მხოლოდენ მოგიხმე ამად საზრახად;
მისნი განვაგდენ რჩევანი შენთა მათ ჰქმენ დამმარხად,
დღეს ესეცა ვქმენ რომ გნიშნე მეუღლედ ემილიისა,
ვიზედ დანაკვირვ არიან თვალნი მთლად იტალიისა,
ვინ ესრეთ მაღალ, ჩემ მიერ შეთჳსერ შეუყვარებითა,
მეფეთაც დამეგვირგვინე ვერ დაგნიჭებდი მეტითა,
ესე განსოვს შენ ჵე ცინნავ, ესდენ პატივი, დიდება,
ესდენ კეთილი ერთა მალ აროდეს დაივიწყება;

და ცივნნავ ესა საკვირველ, ესა მძნელ სათქმელ ენითა,
რომ ესე გახსოვს და ჰსწადი მომაშთო შენის ჴელითა!

ცინნა.

მე ჴელმწიფეო; მე ეგრეთს მწამეთა ორგულებათა?
ესთა ბოროტი განზრახვა. . . .

აგვისტო.

ჰკრადე აღიქმის ტეხასა.
დასჯელდი, არ სრულ მიუგიეს, რაცა მაქუს შენდა სათ-
ქმელი;
თუ გემლოს შენდგომ იქმენი ნებიერებრ თავის სმართ-
ვლელი,
აწ სასმენელი მომიპყარ, ეცადე დაცვას აღთქმისას,
შენ გწადს კაპიტოლშინა მომკლა მე ჟამსა მსხუე-
რპლისას,
მარჯვენე შენი ემზადვის, ნაცვლად სუნნელთა კმევისა.
მიკმოს მექუდარსა კუამლივე სისხლისა დანათხევისა,
შენთან შენათქუნი ზოგადნი, განიმზნავს კართა მცვე-
ლებად,
ზოგთათჳს გითქუამს თან ხლება, ძალისა მოსაშველე-
ბლად,

მარქვ ცინნავ სწორედ მიცვნიეს, თუ ჯორნი რამე მს-
მენიან?

დაგისახელო ვინც შენნი თანა მე ამბოხენიან?
პროკულეოს, კალაბრინ, ვირდინიანე, რუტილოს,
მარკელ, პლანკე და ლენასე, პიამპონე, ალბინ, აკიდოს,
და მაქსიმ, ვისებრ შერკიდე მისანდოდ არვინ მყოლიან,
სხუათა სახელნი ხსენების ღირსნიცა არა არიან;
ვასხთა და ბოროტ საქმეთა რთულნი ერნი შეგიკრბიან,
რომელთ დასჯად ჰსჯულნი ჩემგან წესებნილნი ექადიან,
და რომელთ მტკიცედ უწყიან, რომ ესე მართალ მსაჯუ-
ლება,
თუ სრულიად არ აღივსვრა მათ არ მალუმსთ რომს ცხ-
ოვრება.

ან არღარასა ჰმეტყუველებ და ჰზი პირდახშვით ფიქრს
ფლუფლი,
არ მორჩილება გადუმებს არამედ დანაშაული,
ოდესცა ტაძარსა შინა, უსულო ქმნილსა დამცემდი,
შემდგომად რასა ჰნუკვიდი? ვითა მით რასა ჰპოებდი?
მონარჩიულის უღლისგან გამოიხსნიდი მამულსა?
ან აღგიხსენებ ჰაზრსა მას ძოდან შენგანვე რჩეულსა:

შენ მარქვ მამულის მშვიდობა ამას ითხოვსო დღეისით,
რომ გვყუჴს კელმწიფე თჳთ მპყრობი ვერ დავიცვნეთო
თუ არ მით,
და თუ შენ ამას კელჰყოფილი სათავისუფლოდ რომისა,
რადმედა მექმენ დამშლელად მის განზრახვისა ჩემისა,
და ანუ რადმე ემიე ქმნად იგი სისხლთა დინებით,
რისაც მალგედვა სრულყოფა, მარტოდენ დათანახმებით?
მაშ რაჲ გქონდა საგანად? ნუ თუ ჩემს ნაცვლად მე-
ფობა?
უბედურმცაა გლახ რომი, ცუდმცაა მისი მყოფობა,
თუ კიდე ჩემსა მას შინა, არდა ვინმე არს აწ შთომილ,
რომე საყდარზე აღმავალს წინა აღუდგეს გყოს ბრკუ-
მობილ,
თუ იგი ბედსა აქამდე ეყოსმცა განდარიბებულ,
რომ ჩემს შემდგომად შენ დაშთე ყოვლთაგან უფროს
ჩინებულ,
და რომელ ამა დიდებულს, ტვირთისა რომთ კელმწიფებ-
ისას,
შენდა უვოდე მიმდებლად! ვაჲ დროს უკაცობისას!
ჟამ არს იცნა თავი შენი შთაიხედო შიგან გულსა;

შენ აქ ყოველნი გემონებენ, გმსახურებენ, გწირვენ გუ-
ლსა,
ყოველნი მრწიან შენგან შიშით, ყოველნი გლოცვენ ჴელ-
განამტკიცს;
სვესა შენსა რაღამე აკლს, რაცაღა გწადს ქმნადცა ძა-
ლგიძს,
მარა თუცა დაგიტეო თავის შენის ანაბარად,
რომელნიც დღეს გეშურვიან მათცა ექმნა შესაბრალად,
მოდ, მარქვ მე თუ გსტყუოდე, ძვირად საფასი რაგვის?
მომითხარ შენნი ნაქმარნი; რა სამსახური მოგიძღვნის?
რაჲ ჰყავ ესრეთ იშვიათი, რომ ერთა ღია გითჳსე,
და ყოველთა ჩემთა ყმათაზე ესოდნად განგამეტისე,
ოდენ წყალობით ჩემით გაქჳს დიდება ეგე და ძალი,
მით ოდენ ხარ აღყვანილ, მით ოდენ ჰსჩანხარ მაღალი,
მას ჰატივს სცემენ ყოველნი, არა თუ შენსა გვამსა მწ-
ირს,
მისგან წარმოებს ყოველ კეთილი საცა რამე გჭირს,
თჳარა დაცემად თუ მინდე, მარჯვენეს რომელს უჭირ-
ავ,
მიგიღეო ოდენ და მყისვე ქჳყენად დამხობილს გიხილავ;

მარამ არ მწადის: მოი ჰქმენ გასწავებ შური რასაცა,
თანხმა ვარ აღვედ საყდარსა, მომაკელ სიცოცხლესაცა,
გარნა რას ჰგონებ სერბელნი, კოსნი, მეტელნი, პოლე-
ლნი,
ქაპელნი და სხჳა ათასნი, გმირთაგან შთამომავალნი,
რომელთა გულნი წინაპართ სიმხნეს თჳს შორის აჩენენ,
დამდაბლდებიან მუნ-დღემდე, თავსა ეგოდნად არცხვენენ,
რომ დასთმონ შენი მეფობა და თაყვანი გცენ მონურად?
მათს კეთილ სიამაყესა ჰხადია ეგრეთ უძლურად?
ჟამ არს მომიგე პასუხი. . .

ცინნა.

გონება სრულად წამერთო!
არა თუ თქჳენსა რისხჳასა, ან სიკჳდილის შიშს გან-
ვმკრთო;
თავს ვხედავ განცემულადა; მისთჳს ვარ მიმომგონარედ,
ჰაზრით მიზეზსა ვეძიებ და მშთარვარ მიუმხდომარედ,
მარამ ედენ ჟამს მას ფიქრით, რადმე ვარ უქმად პყრო-
ბილი;
ჴელმწიფევ, მე ვარ რომაელ და პომპეს სისხლით შო-
ბილი;

მას მამის ორის მებითურთ სისხლი მუხთლურად ნათხმევი,
მხოლოდ კეისრის სიკუდილით არიყო სრულად ნაზღჳევი,
ეს მქონდა დიდის განზრახვის კმად და ჩინებულ მიზეზად,
და რადგან შენსა რისხუასა, გამცემელთ მიმცეს აწ საკუდად.
ნუ ჰკვირებთ რომელ ჩემ შორის, სინანულ რამე იხილოთ;
ვედრებით ან თავს ვარცხვინო, ანუ თქუენ შეგაურჩვალოთ;
ბუდი თქუენ ესდენ გმსახურებს რაოდენცა მე მემტერვის:
მე იგი ვუწყე, რაცა ვქმენ, ვუწყე რაც თქუენ ქმნად გეფერვის,
თქუენ მალგაძს მომავალთათჳს მაგალით დიდი აჩინოთ,
და სისხლი ჩემი თქუენისა მშვიდობის მსხუერბლად ადინოთ,

აგვისტო.

ცინნავ არა რას მგამეობ, თავსა უბოვრად მიჩვენებ;

მოტევებისა თხოვნის წილ, ხდომაზე, ხდომას შესმინებ;
გნახოთ, სადამდე განაგრძობ მაგა გულისა სიმტკიცეს?
შენ უწყი რისაც ღირსი ხარ; ხედავ, განზრახვა განგი-
ცეს;
აღმოარჩიე სასჯელი; თჳთ ეყავ თავსა მსაჯველად.

გამოცხადება მეორე.

აგვისტო, ლივია, ცინნა, ემილია, ფულვია.

ლივია.

ჯერ არა იცით ყოველნი ვინცა არიან შეთქმულად;
თჳთ თქუჱნი ემილიაცა მათგანი; აჰა იხილეთ.

ცინნა.

ნამდვილ იგია! ჵე ღმერთნო!

აგვისტო.

ასულო ჩემო შენც ეგრეთ.

ემილია.

დიახ კელმწიფევ, რაც მან ჰყო, ჰქმნა ოდენ ჩემის
ნებითა,

მე ვსჯურე მისი მარჯვენე, თავისა დაპირებითა.

აგვისტო.

ვითარ! ეს ტრფობა რომელიც, დღეს ოდენ ჰსთესე
შენს გულსა,
ესთა ძლიერად განფესვდა, რომ დღესვე მისთჳს ჰკიდე
სულსა?
ჭაბუკს გულს ცეცხლი ტრფობისა მეტობით აღუტყინ-
ებია,
და საქმრო ჩემგან ცემული, დია მალ შეგყვარებია?

ემილია.

ეს ტრფობა რომლისაც გამო თავი ჩემი თქჳენ გმ-
ულდების,
დანახადია არც ახლად არც ძალით თქჳენის ბრძანების,
ეს ალი ჩუენთა გულებთა აღრითვე ჰქონდათ გზნებ-
ული,
ოთხთა წელთ ხვაშიადია აწ ოდენ განცხადებული
თუცა მე იგი მიყუარდა და ისიც ჩემთჳს იწოდა,
მარამ გულთ ძალი მტრობისა, ტრფობაზე გარდაგვმე-
ტობდა
მე მას სრულიად უკვეთდი, ჩემისა შერთჳს იმედსა,

ვიდრე სისხლსა არ აზღუევდა მამისა ჩემის წარმწყმედელსა,
იგი ფიცითა შევიკარ, მან მეგობარნი იშოვნა;
გარნა ღმერთთ არა ინებეს, დავკარგე რაცა მქონდა,
ან ხელმწიფეო, ვით ხედავთ, მიყუერბლსა მას თჳთ მე
ტანჯვენ მე,

მისსა შეცთომას არ მისის, განმართლებისთჳს ვ[illegible]
სამართლად უქმნათ წარწყმედა თქუენის სიკუდილის
მნდომელსა;
არ ევერების ბოდიში, მისებრ საქუეყნო მხდომელსა,
მე ამად ოდენ გიახელ, მხოლოდ ერთის მას გვედრ რო-
მე,
მის თუალწინ მოვკუდე და ჩემსა მშობელსა შეცა მეუა-
რომე.

აგვისტო.

ეჰ ღმერთნო ნეტარ როდესღა, ანუ რას განგებუ-
ლებით,
ტყუემულ მყოფდეთ მე ეს გვარად ჩემთავე მახჳლით ხმა-
რებით?
იულია უკადრ ქცევისთჳს, გძულავ სახლით ჩემით მებრულად,
მის ნაცვლად ემილია გსვა, ასულად შეუყვარებულად,

და ესეც მისები აღმოჩნდა, უღირსად მის ადგილისა,
ის შექმნა აღმზრდელ პატივის და ესე აღმზრდელ სულისა,
სხჳა და სხჳა გვარით აღმრულნი ორნივ შევიდნენ დიდს
ხდომას,
ერთი ურცხობას შეუდგა, მეორე მამის გულის ნდომას,
ასულო! ესა ნაცვალი ჩემის ჯირნახულობისა?

ემილია.

ჩემს მამას რახჳდა თქჳენ მიერ სანუგეშოდ მზრუნ-
ველობისა?

აგვისტო.

ვითარის ზრუნვით აღგზარდე, ესეცა მოიგონე შენ.

ემილია.

თქჳენცა მან ეგრეთ აღგზარდათ, და შემდგომ ჯილდ-
ოთ რა უქმენ?
შეუწყალებლად მოჰკალით, ჯირნახულთ დამსდგე მზრუ-
ნველი,
და თჳთ მასწავე ხდომის გზა, მუნამდე ჩემგან უცვნელი;
გარნა ჩჳენ-ოჭითა ცთომათა ეს აქჳსთ დიდ განყო-
ფილებად,
თქჳენ ჩემი მამა მთავრობის მოყვარებისა ჰყავის მსხჳე-
რპლად,

და მე სამართლად აღძრული შურის გზისა ცეცხლითა,
ვცდილობდი სისხლი უმანკო, მეზღჳია მკჳლელის სისხ-
ლითა.

ლივია.

მაგას მეტს იტყჳ ემილი; თუ განსჯა დია ცხადია;
მას ვალი მამის შენისა, თჳთ შენზე გარდაუხდია;
სიკჳდილი მისი, რომლითაც აწ გული აღგეჭურვება,
მხოლოდ ოქტავის ბრალია, ჴელმწიფეს არად ეხება,
ვინც გვირგვინისა მიზეზით, ცოდვას რაშიმე ერევის,
ცა აღხოცს მისთა ცოდვათა რა იგი დაგვირგვინდების,
და მისის მოწყალებითა მას საღმრთო ხარისხს აღმავალს,
წარსული აღარ ეკითხვის და განუხსნიან მომავალს,
ერთა წინაშე იგინი ვეროდჱს ითქმინ მცოდველად,
რაც ყოსთ გინა კჳლავა ჰყონ, ჯერარს მთეს დაუწო-
დველად,
გარნა მეფეთა საღმრთო-სისხლს, ვერ ვინ ვერ მიეკარ-
ება,
ყოველი ჩჳენი მათი არს, მათ ჴელთა ჩჳენი ცხოვრე-
ბა.

ემილია.

რაც თქჳენ აწ ჩემგან ისმინეთ, ჴელმწიფის მონახსენებად,
ამად გსთქუ რისხჳა აღმეძრა, არ თუ ჩემს განსარინებლად,
ჴელმწიფევ გმართებსთ დასაჯოთ, ეს ცოდვათ მზადყ შვენება,
დღეს რომლისაცა მიზეზით შინა ყმა გეორჩულება,
აღხოცეთ ჩემი ცხოვრება, მის თქჳენის განსამტკიცებლად:
თუ ცინნას გსძლიე, სხჳათაცა მრავალთა ვეყო მცთუნელად,
ჵ მტრობა ჩემი შემდგომად უფროს სარიდველ გექმნების,
რა მამის სისხლსა საზღჳევსა საყჳარელისაც ერთვების.

ცინნა.

საყჳარულითა ძლეულმან ამ გულმან ესეც ვითა ჰსთმოს,
რომელ ამ გვარად ჩატივიც საყჳარლისაგან ეხადოს!
ჴელმწიფევ ჯერ არს რომე ჰსცნათ ჭეშმარიტება ნამდვილად,

იგი ჯერეთ არ მიუჳარდა, რომ ესე მქონდა წადილად,
ჩემსა სურვილსა უმანკოს რა არ ადირსა შესმენა,
გსთქჳი ნუ თუ სხჳამან ზრუნვამან, უფროორე უქმნას გა
გლეჯნა,
ვჲამიე ვითამც მისს მშობელს თქჳენ მოეპყარით ფიც-
ხელად;
გული უმდჳენ ჵ ეს მკლავი გაწვიე სისხლის საზღვევ-
ლად,
რაზამ ტკბილად სჩანს დიაცსა შურისგებისა სრულება?
ეს გვარ შემართჳთ შეუველ, მოვიგე მისი გონება;
მე უჩინარი, ეგოდნად არ ვიყავ მისთჳს სათნელი,
მარა მან სათნოდ იჩინა მარჯვენე სისხლის მზღვეველი,
ამ ჴელოვნებით გავრივე მე იგი აწ თქჳენს დალატსა,
მე გვარ მოთავე შეთქმისა, ამაოდ იდებს ის ბრალსა.

ემილია.

ცინნავ, ვითა ჰბედ მაგას თქმად? მაგით მიჩჳენებ
სიყვარულს,
რომ სიკჳდილის ჟამს ზაცვის მიდევნით მწარედ მიწყ-
ლავ სულს?

ცინნა.

მოჰკვეთდით თუ გნებავსთ, გარნა ნუ მიზრუველადვთ
ესრეთ სახელსა.

ემილია.

გამე თუ ნამდვილ გირწმუნონ, ჩემის სახელის მცე-
ხელსა!

ცინნა.

თქვენ შეცილებით მიყარგავთ ამა დიდებას სრუ-
ლებით,

რომელს ვეძებდი შემინვად თავისა გამომეტებით.

ემილია.

ვეთილ გმთეს შენი ნაწილი, და მე რაცა შემერგება,
შენის სახელის დამცრობით, ჩემიცა ნამდვილ მცირდება,
დიდებაა თუ სიამე, თუ ტანჯვა გამოსაცადი,
შორის სარწმუნოთ საყუარელთ, ხამს მარად იყოს ზო-
გადი,

ჩუენ ორთავ გულნი, კელმწიფევე, გვაქუან სრულ-
იად რომელნი,

ტრფობაცა და მტრობაცა ორთავე ზოგად გვაქუს შეერ-
თებულნი;

მშობელთა სისხლი ორთავე თანასწორ გვეზრახებოდა,

და გჳმოძღჳრებდაცა ზღჳევასა ვითარცა გვევალებოდა,
ამა საქმეჲსს განზრახვას ორთავე ერთ ჟამად შევმარ-
თეთ,
ერთგვარ ვცდილობდით წარმართვას, თუცადა ვერად
წავმართეთ,
აწცა ორთავე ერთად გვსურს სახელოვანად სიკჳდილი,
რომ გწადდათ ჩჳენი ერთობა. . . . აჰა ჰყავთ თქჳე-
ნი წადილი.

ავგისტო.

მე შეგაერთნო მეხთალნო, ეცველთაგან უუმადლო-
ესნო!
პირისპირ ჩემსა ანტონის და ლეპიდეზედაც უმტრესნო!
შეგაერთნე თქჳენ და მიხვდეთ ორივე თქჳენსა საწა-
დელს;
სრულად ჰმა უყო მაგა ცეცხლს, თქჳენთა გულთა ადუ-
მატყინებელს;
ქჳეყანას ვაცნო, მიზეზი ჩემისა გულის წყრომისაც,
და განვაკვირვო სიდიდე სასჯელისაც და ხდომისაც. . .
გარნა ჰგავს ღმერთნი მწყალობენ, ვინადგან ესე
უქმნიათ,

რომე მაქსიმე მძვინვარეთ წყალთაგან გამოუხსნიათ.

გამოცხადება მესამე.

აგვისტო, ლივია, ცინნა, მაქსიმე, ემილია, ფულიია.

აგვისტო.

მოველ მხოლოვო მოყვარო, შენდა მშთომიე ერთ-
გული.

მაქსიმე.

კელმწიფევ მაგა წოდებას არ ღირს-ვარ მე ბრალეუ-
ული.

აგვისტო.

ნუდა იხსენებ ბრალისა მას სინანულითა განწმენ-
დილს
ესე ხამს ოდენ გახსოვდეს, რომ განმარინე დღეს სი-
ქმედილს;
კელმწიფებაც და ცხოვრებაც მშთენ სამსახურთა შენთა-
გან.

მაქსიმე.

ჟამ არს ჰსცნათ უსამძლესი ყოველთა თქჳჱნთა მტე-
რთაგან,
თუ ჰსცხოვრებით ანუ კელმწიფებით, მაგას მე ნუმცა მი-
მადლით,
გამოხსნა თქჳჱნი მომიხდა, მხოლოდ შურით და სიშ-
მაგით;
რაცა ვჰყავ, კეთილის კდემით და სინანულით არ ვქმენი,
რაყოფის დასათრგუნველად ვამჟღავნე მისნი საქმენი,
ამისთჳს მოგახსენათ თქჳჱნ ეფორბემ ჩემი დარჩობა,
რათამცა არ გებრძანებინათ, თქჳჱნთანა ჩემი მოხმობა,
რომელიცა მაშინ ვსცდილობდი, ემილიასა შეცთენას,
მის შეშინებას და ამით იტალიიდგან გაყვანას,
მისგან ველოდდი დაყოლას, რადგან უდებდი იმედსა,
რომ შემდგომ უკუქცეულნი ვაზღჳჱვდით ცინნას წა-
რმწყმედსა,
გარნა არათუ ვერ განაბა რეგვნულად არწყმულმან მახე-
მან,
შიშის დროს სახიერება უფროს გამოაჩინა მან,
და ჰსცნო რაც მქონდა მე გულსა, შემდეგი ყველა თჳთ
იცით,

დ̃ რასთჳს შეგაწყინეთმცა ამაოდ მოთხრობის სიგრძით,
ესრეთ მომიხდა უკადრის ჴელოვნებისა ხმარება;
გარნა მითც თქუენის უხვების თუ სამსახურად მეთვლება,
ჴელმწიფევ, ოდესა ვიდრემე გვერდი მახვედროთ აჯასა,
წინაშე მათსა ჩემს სიკუდილს დ̃ ეფორბისა დასჯასა,
ამა მუხთლისა რჩევითა შევედ მას ბრალსა საძაგელს,
ვუმუხთლე პატრონს, მეგობარს, საყუარელს, მამულს დ̃ სახელს,
იგი ვიხილო დასჯილი, მეც დავისაჯო შემდგომად,
არდა რაჲმე დამრჩების სოფელსა ამას სანდომად.

ავგისტო.

ჰე ღმერთნო, ამას მაკმავებთ, თუ სვეს სხუაცა ჰყავს მზაკელი,
ჩემიან შორის ჩემზედა მახვილით მოსასეველი?
ჯოჯოხეთისა ძალნიცა გინა მოიხმოს შემწედა,
თჳსზედაც ეგრეთ ვიუფლო ვით ვუფლობ ქუეყანას ზედა,
ესრეთ მწადს დ̃ ესრეთცა ვყო, ჰოი მომავალო ჟამებო!
საშვილის შვილოვ მოთხრობავ, შთამამავლობათ მსწავლებო!

დაიცეთ მოსახსენებლად ეს ძლევა უკანასკნელი,
რომელს აწ ვიმოს მნიადის გულის წყრომისა მთრგუნველი,
ცინნავ დავჩავდეთ ამიერ, თჳთ გაწვევ ვიუჭნეთ მეგობრად,
ერთგჩის მოგმადლე ცხოვრება, ოდესაც იყავ ჩემდა მტრად,
და აწცა შენის უწყალოს გულის თქმის მიუხედველად,
მასვე განიჭებ მეორედ, ჩემს მდევნელს სულის სახდელად,
აწ ვიწყოთ ბრძოლა ახალი და ვნახოთ ესრეთ მბრძოლელსა,
ძლევა ვის რჩება ორთაგან, დამხვედრს თუ შემტევებელსა,
თუმცა რაც გიქმენ კეთილი, სრულიად მიგმე მუხთლობით,
მარა მე ნაცვლად დაგნიჭო განმრჩობლებულის წყალობით:
აქამდე მათით აღგავსი, აწ უმეტესი მაქჳს გულსა,
მსურს ესრეთ გტვირთო ნიჭებით, რომ გხედდე მათით ძლეულსა,

ამ შვენებასთან რომელიც დღეს მოგვეც, სასძლოდ ერთსულად,
მოგილოც, წელსა მომავალს ჯერ არს შენიყო კონსულად,
ასულო ჩემო, გიყვარდეს ცოდნა ამ ხარისხს აღსრული;
ჰსჯობს ორნივ ერთად ჰსცხოვრებდეთ, ვიდრე ამხადოთ მე სული,
მჯფრიტე და ჩემგან ისწავე დათრგუნვა გულის წყრომისა,
საქმროს აღდგენა უტკბეს არს, ვიდრე აღდგენა მამისა.

ემილია.

სრულად ძლეულვარ კელმწიფევ, ეგზომ უხვებათ მალითა,
თვალთ მხედველობა ახალი შთამედგა მათის ნათლითა,
ვხედავ ჩემს ხდომას და ვირცხვნი, რომ სჯულიერად ვხადდი მას,
სულს, სინანული მებადვის და ესთა ძლიერს ვგრძნობ კდემას,
რომელს ვეროდეს მიშობდენ სატანჯველთ შიშის ზარები,

და რომელსაცა აწ გულმან ნებსით განუღო კარები,

ჰგავს ზენა სრულად განიჭებს უზენაესსა დიდებას,

თჳთ ჩემ შორისვე ვხედ ამას, არ ვეძებ სხჳას დამტკი-
ცებას,

სიქადულით თქმას გავბედავ, საზრახად ნუმცა მექმნება,

თუ გული ჩემი შესცვალა ქუეყნისაც ჰნებავს ცვალებას,

ცეცხლი მტრობისა მიშრტების, რომელსაც ვხადდი [illegible]-
[illegible]დავად,

უკჳწ დაშრტაცა სრულიად, და გული ჩემი მის ნაცვ-
ლად,

თქუენს ერთგულ მონად შექმნილა; ჰგმობს გრძნობას
თჳსის მტრობისას,

და მისის სიცოფეს შეუდგენს, სურვილსა მსახურებისას.

ცინნა.

რაჟდა მეთქმის ჴელმწიფევ, რა აღვსილთ დამნაშა-
ობით,

სასჯელის ნაცვალგების წილ, ერთობ სავსე გჳყოფ
წყალობით;

ოჰ, კეთილობას უებრობს, ოჰ სულგრძელებას რომლითა,

თქუენ ჴელმწიფება გემართლევის და ჩუენ ვატვირთჳთ
ბრალითა.

აგვისტო.

ნუღამე ვჰყოვნით ზრალთა მათ გულუხვად დავიწყე-
ბასა,
თქჳენ ორთავ გაწვევთ ჩემთანა მაქსიმეს მიტევებასა,
თუმცა მან ყველას გვიმუხთლა, მარამ ამისთჳს ხამს ვმა-
დლოთ,
რომე თქჳენ დაშთით უმანკოთ და მე არ დავშთი უმო-
ყვროთ. (მაქსიმეს)

ჩემთანვე იყავ ვითა კჳლავ, მისვე ალაგის ქონებით,
კჳლავებრივ სანდო შინაყმად და მითვე საკელოვნებით,
სამთავე გმართებსთ დაუთმოთ ეფორბეს დანაშეულნი,
(ცინნას და ემილიას)
და თქჳენ ხვალე ქორწინებითა, იქმენით შეერთებულნი.
(მაქსიმეს)

თუ კჳლავც ტრფიალხარ მაქსიმე, ეს ქმა შენდა სა-
სჯელად.

მაქსიმე.

მას სამართალი მიუძღჳის და მე ვით ვიყო მდრტვი-
ნველად,
აწ საყვარლისა მიდებით არ ეგზომ ვგიე გულტკენილ,

რაზომადც თქჳჱნის უხვისა მოწყალებით ვარ შერცხვენილ.

ცინნა.

დასიმე ჴელმწიფევ რომელ აწ, სახიერების მოწვევით,
ახლათ შეგწიროთ ეს გული ვისგან უკადრათ იგმევით,
და გარწმუნოთცა, ესრეთის მკვიდრის სიმტკიცით გემლევა,
რომ განა ცანიც ეკვეთნეთ ვერ უძლონ მისი შერყევა,
მაღალმან ყოვლის განმგემან მალმან დღეისით ესრეთ ჰყოს,
რომ სრული ჩჳჱნი ცხოვრება თქჳჱნს დღეგრძელობას ენაცვლოს,
მეც ე'დენ ვიქმნა ბედნიერ, ამ საშურველს ხვედრს ვეწიო,
რომ სული თქჳჱნი შო'დგმული, თქჳჱნს სამსახურზე დავლიო!

ლივია.

ერთგზისცა მისმინეთ ჴელმწიფევ, მე ვგრძნობ ჩემშორის მალს ცისას,

და მადლსა მისგან მობერვილს, წინასწარმეტყუელები-
სას;
ჩემგან გეცხადოს რაცა არს, ამიერ თქუენთჳს ღმერთთ
ნება,
თუ თჳთ გიმტკიცდეს უძრავად ხვედრი და ბედნიერება.
მაგ სულგრძელების შემდგომად შიში არღა გაქუსთ
არ რისა,
დღეისით ყოველთა გმორჩილონ თჳნიერ ყოვლის დრ-
ტვინვისა,
უთჳთ სჯულესთა მტერთაცა განზრახვა მათი განაგდონ,
და თქუენი ქუეშე მორჩილობა, დიდების მსგავსად იწ-
ადონ,
არცა სად გიქმნან მეხთლობა, არცა სად შურის მიება,
ვერცა რაიმე რყეულჰყოს აქ თქუენი კეთილდღეობა,
განსწუდეს ამბოხთა ხსენება, ეცვალოსთ გრძნობა ორ-
გულთა,
რადგან ამ საკვირვოს საქმით მოიგეთ უფლება გულთა,
რომი ქუეყნისა ჴელმწიფე, სიამით გრძნობა ლმობილი,
უკუე თანხმა არს სურვილით; რომ იყოს თქუენგან
ფლობილი,

დასარწმუნებლად ეკმავის, ეგ ჴელმწიფეური უხვება,
რომე მას თქუენი მთავრობა საბედნიეროდ ექმნება,
გრძლად იყო შეცთომილებას; აწ მის ცთომისგან გან-
სრულსა,
მხოლოდ ეს ჰსწადის ეღირსოს განგებას მონარხიუ-
ლსა,
იგი აქ უკუე განგიმზადს, ტაძართა, შესაწირავთა,
დაცა სახიერთ მჯილდველი, მუნ ალაგს შორით უკუ-
დავთა,
ხოლო კუალავ მთამამავლობა, ამ კეთილთ თქუენთა ნა-
ქმართა,
სამაგალითოდ უთხრობს, უგულუხვესთა მთავართა,

აგვისტო.

მრწამს ეგე წინასწართქმული; ვსასოებ ეგრეთ იქ-
მნესცა,
ღმერთით ჰყონ რომელ მარადის ეგ გვარად შთაგბერ-
ვიდესცა.
ხვალისთჳს მსხუერპლთა მათდამი, მზა ვჰყოფდეთ
განმრჩობელეულად,

რომელთ შევსწირავთ უეჭვოდ, უმჯობ და უფროს ერთ
სულად;
განუცხადენით უკლებლად თქუენთა მათ თანა შეთქ-
მულებს,
რომელ აგვისტომ ყველა ჩუენა, და ყოველსავე ივიწყებს

დასასრული ცინნასი.

24 ოკტომბერს 1844 წელსა.

[library stamp]

## განგრძელება სოგრატისა.

დიოდენს ჰკითხა მეფემ ზიკირიელმა: რად გაუშვი სოგრატ და აქ მოხველ. მიუგო: სანამ სიბრძნე მინდო-და სოგრატთან ვიყავ, და რახანც თეთრი მამინდა შენ-თან მოველ.

ზიკირიელის მეფეა დიოდენ უთხრას მდომელი,
სოგრატს რასათჳს მოშორდი რა მიზეზი გაქჳს რომე-ლი,
სანამდის სიბრძნე მინდოდა ვიყავ იმასთან მშრომელი,
და აწ თეთრი მომდომებია თქჳენს წინაშე ვარ მდგომელი.

წესია სოფლის მოყჳასთა ხან ესეუნდა ხან ისი,
ლხინი შვება და სიამე დიდის რამ შესაგვანისი,
ხან სიბრძნე გონიერება თვალს წინა მოსაყვანისი,

და ცუდია ყველა სოფლისა დააზროს გასამწვანისი.

მეფემ უბრძანა დიოდენს, ფილოსოფოსობისა მით-ხარ რამე. მაგიური პასუხი არისტოტ მიუგო: მე მიკვირს ფილასოფოსობისას კითხულობ რასმე. უსაცილოთ თუ ფილასოფოსობისა მოგახსენეთ რამე, შენ გარდაუკდე-ვინებელი ვერ მოგრჩები. ამაზედ მეფე გაუწყრა, თავის წინადამ ააყენა და ბოლოს დასვა. ამისთჳს არისტოტე-ლი არად შეწუხდა და თქუა: ღმერთო ადღეგრძელე მე-ფე. თურმე ამ ალაგის მწყალობელი ბძანდების რომ მე დამსვა.—

მეფემ უბრძანა დიოდენს თქმა ფილასოფოსთ თქმუ-ლისა,
ჰკადრა თუ მათი რა გკადრო ვიცი რომ გაგაგულისა,
გაწყრა ბოლოსკენ დაჯდომა ბრძანა წინაშე სმულისა,
ლოცავს ყოფილხარ მოწყალე საჯდომის აქა დგმულ-ისა,
ამბავს ჰკითხავ რა გიამბოს არ შეგივა გულსა გო-ნად,
არ გისინჯავს მისი გზები, მიგაჩნია ჩალის წონად,
თუ არ გეტყუჳს შემოსწყრები რად შეიქენ მალე მცო-

ნად,
და მართალია რაც არიცის საწყენია გასაგონად.

ჭკუა ნაკლები კაცი იმას ემენს რომ კაცის ალაგს იჯდეს, მაგრამ ფილასოფოსნი მაგას არ ემეჲენ. ამისთჳს, შორაც იჯდეს ახლოს მჯდომ უჭკუოს კმას არ გასცემენ და იმ შორს მჯდომს ჭკვიანს ლაპარაკს დაუწყებენ.—

უცები ცდილობს იყოსმცა სხჳათაგან ზეით მჯდომელი,
მაგრამე ბრძენი არარის ამის რისამე მდომელი,
სადაცა იჯდეს მაინც აქჳს პატივი მიუწდომელი,
მას ყურსა არვინ მიუგდებს ხელია მიუხდომელი,
არარის კაცი პატივის არ იყოსმცა მიწყივ მგონელი,
მაგრამ იმასაც ეცადე საქმე ქნა შესაწონელი,
თუცა ზეითკენ ჯდომითა თავი გწადს მოსაწონელი,
და ისკი არიცი პატივი რიდ არი მოსაქონელი.

ოდესმე დიოდენს თეთრი დაეჭირა და მეფეს სთხოვა. უბრძანა აკი ამბობდი ფილასოფოსი არაზე შეწუხდება. არისტოტელმა მიუგო: ჯერ მოგვეც და მასუკან დაგვაყუჱდრე. ადიდო და უბოძა: არისტოტ მოახსენა,

არცა მოგახსენე არაზედ შევწუხდებით.—

დიოღენს თეთრი დასჭირდა მეფესა სთხოვდა ბო-
მებად,

თქჳა ბრძენს უნობდი არასი არ ეჭირვების მოძებად,
ჯერ მომეც მერმე მაყჳედრე ბრძანა ბოძება ოცებად,
და გკადრე თუ ბრძენი დამჭირნედ არარის არცა ოცე-
ბად.

ბრძენს თუცა უნდა სოფელი იცის იმისიც გზებია,
გაკადოს ყოვლი საწადი ადვილად დასამხებია,
გზა მისცეს საქმეს საქმითა და მისი მიზეზებია,
და წინა მდებარეს სიბნელეს უჩჳენოს მალე გზებია.

ერთხელ როდისმე მოუხდა ზღჳაში სიარული. დაი-
ნახა ნავით მეკობრენი რომ ზღჳაში ნავებს ამტვრევდენ.
ამოიღო ჩახვით ფულები და თვლა დაუწყო, კელიდამ გა-
უშვა და წყალში ჩააგდო, და თქჳა. ოქრო ჩემგან დაი-
კარგოს ისი სჯობს, ვინემ მე ოქროსაგან დავიკარგო.
ნახეს ეს ყაზახთა რომ ოქრო აღარა ჰქონდა და კელი აი-
ღეს.—

ზღვით მივიდოდა მოუხდენ ყაზახნი ნავთა მცრცვე-
ლია,

ჩაკვი გახსნა და შინჯევდა ეგონათ მისი მთვლელია,
ანაზდად კელით გააგდო გაინთქა დასანთქმელია,
და ჩემსას ჰსჯობს ოქროს წაკდენა მორჩა ამითი მთე-
ლია,

რჩევა გასინჯვა საქმისა ძნელსა იქს ადვილობითა,
მორჩენა მისსა საქმესა არათი დანაკლობითა,
მძლავრსა მოსულსა გაუვლის საქმესა მოუცლობითა,
და სიბრძნის თითითა გამოხსნის დახვანჯულს ნასკუმ-
ლობითა.

შემდგომად როდესაც ბევრი თეთრი იშოვნა, თავის კაცს აჰკიდა და წავიდა. სიმძიმით კაცი გზაზედ დაუდგა და უთხრა. რისაც ზიდვა ვერ შეიძლო გარდაყარე და სხ-ვაკი წამოიღე.—

კაცს ბევრი თეთრი აჰკიდა დავარდა მიმავალია,
ძალიდე შესაძლებელი გაჰყარე თუ მრავალია.

რომელსმე დიოდენისთვს უბრძანა სამის ლამაზის ქა-ლის მოყვანა, და დიოდენს უთხრა რომელიც გინდო-დეს ის გამოირჩიეო. მან სამივ წარიყვანა გაუშვა და უთხრა: სამივ გამიშვიხართ ნურცერთის გულს ნუ დაკა-კლდებათ.—

სამი ღღუსხეს ირჩივე დიოდენს ტურფა ქალის.
სამივ ჭაასხა გაუშვა ნუმცა ერთი ხარ მწყრალის.

ფარის მეფის შვილისას სწერენ, მაშინდელის იმათის კერპ მსახურობითა ჰყუანდა ღმერთებნი: იუნონა, მინვერა, და ვენერა. იმ მეფიშვილს ნება მისცეს და ჰკითხეს. ჩუენში რომელი ვსჯობივართო. იუნონა დაჰპირდა ჴელმწიფებასა, მინვერა სიბრძნესა, და ვენერა ლამაზ ცოლსა. მან ყველასაგან ვენერა უფრო აქო. და ის დაპირებულიც აღუსრულა და უშოვნა ცოლი ლამაზი ელენა. ამისთჳს იუნონა და მინვერა გაწყრენ და სამნივე დაინთო-ქნენ.—

რომელნიმე არისტოფს აგინებდენ, მან კმა არ გასცა და განეშორა. ის უკან მიჰყუა და დაუძახა: მიზეზი მაგრამ რისთჳსა. არისტოფ მიუგო: ამისთჳს რომ შენ ძალი გაქუს ლაპარაკისა და ბოროტისა, და მე ამისი რომ არ გავიგონო.—

რომელიმე აგინებდა, კმა არ გასცა გაეცალა,
უკან მისდევს რად მიზეზი არ უნდოდა გაეცალა,
არისტოფ თქუა თქმის ძალი გაქუს ენა არა დაგეკალა,
და მე ნება მაქუს არ ვისმინო თუცა ვითარ დამეცალა.

მგინებელს სიტყუა არ უნდა არცა თქმა საუბარისა,
უთქმელად იქით გასცალდი თავს უზამს დასაბარისა,
შეატყობს მაშინ რაცა ქნა მთისაა ანუ ბარისა,
და თვარ პასუხითა ერთისაც გაჩუჭნებს მისა ბარისა.

რომელსმე დილით ერთის თჳსის მეგობრისათჳს მე-ფეს მჳდრებოდა, და დიად საქმეც გაუჯირდა. შემდ-გომად ფერჴთ მოეხვია და გაუკრონა: ერთმა ვინმე დასმა-რახა, აქამდი რატომ ვერ გაარიგე და გაგიჯირდა. მან მიუგო: არ ვიცოდი თუ მეფეს უურები ფეხებზე ესხა თვა-რემ უფრო მალ გავარიგებდი. —

მეგობრისათჳს დილიდენ მეფესა ეხვეწებოდა,
იმან პატივი არ დასდვა ეს ფეხსა ეწებებოდა,
უსმინა ხვეწნა რქუფს პირველად თუ გექნა მალ ეწე-
ბოდა,
და მეფეს თუ უური ფეხს ენა სასმენლად არ მოესწრე-
ბოდა,

მეფეს თუცა აქუს სიბრძნითა რიგი და განწესებანი,
სამართლითა იქს უფლისა მოუფემთა ნებანი,
შესაწყალთ მოწყალებეა უწყალოს განქარვებანი,
და შუამავლობით ნაქნარსა მოუდებს მრავალი ვნებანი.

ამას ერთხელ მოუჴდა კორინთეს ნავით მიმავალს მძ-აფრი ღელვა. კნიედა და კარაბლი იგი შეიმუსრა. ამაზედ არისტოფ დიდად შეშინდა და ფერი წაუვიდა. როდესაც ზღჳა ღელვათაგან დაუყდნა, ერთმა მენავეთაგანმა უთხრა: თუ თუმცა სიკჳდილის უშიშრობას ჰქადაგებთ, მაგრამ ყველასაგან შენ უფრო გეშინოდა. მიუგო: მარტო მე არ ვკჳდებოდი, მე კარგისა და პატივის ღირსის არისტოფის სიკჳდილისა მეშინოდა, და შენ ავის კაცის სიკჳდილისაც არ გეშინოდა.—

არისტოფისა ზღჳა აღუდგა კორინთისკენ მიმავალსა,
შეშინდა და ფერი ექცა კჳლავე უჭჳრეტს შენაცვალსა,
მენავემა ჰრქჳა რად შეშინდი სიკჳდილს კმობდი შეუკრძალსა,
და რქჳა მე მარტო არ ვკჳდებოდი ვწუხდი სიბრძნეს მე საბრალსა.

ძნელია კაცი კეთილი შემკული ყოვლის წესითა,
სოფელსა გაესალმოს დამრჩომი დარჩეს კჳნესითა,
დადუმდეს ენა კეთილი სიტყჳთა უკეთესითა,
და მზრუნავი ბევრჯელ დაბრუნდეს ძლივას ერთს დანათესითა.

ოდესმე დიონოსის კარზედ გაიარა არისტოფ. და დიონეს სალათა გაეკეთებინა. მიუწოდა მოდი ეს ჭამე და თუცა ამის ჭამას დაეჩვევი უნებური აროდეს იქნები. მენება და ცუდი საჭმელი მირჩევნია, უნებურობას და კაის საჭმელს.—

დიონოსემ არისტოფსა კარსა ზედა გაუარა,
უთხრა მოდი ესე ჭამე სალათა მაქჳს გაუარა,
ვინც ეჩვევა ამის ჭამას უნებობა გაუარა,
და უნებობით კარგ საჭმელსა ნებით ავი ჰგაოარა,
სოფელი ნებას არ მოგცემს სანამ ხარ მისი მჯერ-
ები,
ვერც ავით ვერცა სიკეთით ვერ შეგქნას გასაჯერები,
ამისთჳს დასთმეს ბასრობენ სიბრძნეზე შესამზერები,
და ნება სჯობს უნებობასა ბმენია ასე მწერები.

ანტისთენ იყო ბრძენი. მოწაფე სოკრატისა და ყოვლის სიკეთით სრული: ამას ჰკითხეს რომელი კაცი უფრო ბედნიერი არის. მიუგო: ყოველთაგან უფრო ბედნიერი ის არის, რომელიც ბედში აღსრულდების.—

ანტისთენ ბრძენი მოწაფე სოკრატის კაცი სრულია,
ჰკითხეს სვეშია ყველასგან ვინ უფრო მოარულია,

თქუა ვინცა თავით ბოლომდი გარდავლო აღსასრულია,
და თვარემ ხან ეს და ხან ისი ცუდი მილი და რულია.
სიკუდილიდე შვენით გამლელსა თქუჱს გაუსრულდა ბედები,
შენატრიან და აქებენ მისი მცნობი და მხედები,
ამისთჳს ჰორგავს ესე აქუს დიდირამ საიმედები,
და სამი დღის ავი ან კარგი რადა გჩანს რასა ედები.

ამანვე თქუა. მძური სიყვარული კედლისგან უმაგრესია.—

კედლისგან უმაგრესია მეგობრივი სიყუარული.—

ამასვე ჰკითხეს. რისაგან იქნების ქუჱყნის წახდენა. მიუგო: როდესაც ბოროტი განმრავლდება და კეთილი მოაკლდება. იქ კეთილი არ არის სადა კარგს პატივს არა სცემენ, და ბოროტს უპატიობასა. ამისათჳს რომ, კარგის პატივის დება სიკეთეს განავრცობს, და ბოროტის უპატიურობა სიავეს დაამცრობს. ეგრეთვე კაის უპატიურობითა, სიკეთე დამცრდება და სიავე განვრცნდების.—

ქუჱყნის წახდენას ჰკითხავდენ ანუ რით დააკლდებისა.

როსცა ბოროტი განმრავლდა კეთილი გაცუდდებისა,
კარგთა პატივი მოაკლდეს ავები გადიდდებისა,
და მაშინდა გარდაიწყვიტე წამალი იმედებისა.
საცა ბოროტი გამოჩნდა სიავეს სიმრავლებითა,
ძირი გადიდდა გამსხვილდა მიდამდი გასავლებითა,
ნაყოფი ტკბილი აღმოფხჳრა გაკადა დანაკლებითა,
და აოკრდა თემი ქჳეყანა მისითა მიახლებითა.

ვითარცა რკინასა თჳსივე გესლი შესჭამს. ეგრეთვე მემშურნესა თჳსივე შური განლევს.

ვით რკინასა გესლი თჳსი აგრევ განლევს შური კაცსა.

ყოველს სასწავლოში რომელი უმჯობეა. მიუგო: ბოროტის განშორება.—

რა ჰსჯობს სწავლაში მიუგო ბოროტის კიდეგანობა.

ამასაც იტყოდა. ბრძენი კაცის წახედულობით არა ცხოვრებს. არამედ კარგის წახედულობითა.—

ბრძენი არიქს კაცთა ჰამსა მაგრამ კარგსა მიბასავსა.

ჰკითხეს რისათჳს ცოტა გყავს შაგირდები. მიუგო: ამისათჳს რომ ვერცხლის წკეპლით გავურიხოლმე. მე მც-

ირედის მიზდით არ ვასწავლი. —

ცოტა გივისო მოწაფე ვარ ვერცხლის წკეპლით მცე-
მელი,
მცირეს კელფასსა არ ვჯერვარ შექნილან დასაცემელი.

ამას უთხრეს. შენ რომელიმე ბოროტთაგანი გაქე-
ბდა. მიუგო: ვამე თუ უცებად ბოროტი რამე შემემთხჳა. ბოროტისაგან ქება მაგება არის. —

ბოროტი ვინმე მას უთხრეს შენსა უბნობდა ქებასა,
ვათუ უცებად მოუკდა თქჳა ავი ჩემსა ნებასა.

ერთმა ვინმე ყრმათაგანმან ანტისტენ შეიყარა და უქ-
ადა. რომლესაც ჩუენის ქუეყნიდამ ნავი მოვა, მაშინ გემსახურებ. ანტისტენ ქალაქში წავიდა და ყრმა თან წა იტანა. ფქვილი იყიდა და ყრმას მისცა წამოიღეო. მათ ფასის თხოვნა დაუწყეს. მიუგო: რახანც ამ ყრმას თავი-
სის ქუეყნიდამ ნავი მოუვა მაშინ მოგცემ. მრავალნი არიან ბევრს ჰპირდებიან და ცოტას აძლევენ. ესეც იცო-
დე რომ სავაჭროში დაპირებისათჳს სავაჭროს არ მის-
ცემენ. —

ანტისტინესა წინესა ყრმა ვინმე შემოსცინესა,
გაიწუჩნეს თემით ნავს ველი აწე ნუ მოგეწყინესა,

მაშინ გმსახურებ მიუგო რაცრამე შემეძინესა,
ანტისტე ქალაქს წავიდა ყრმა იმას წაეწინესა,
ფქვილი იყიდა ყრმას უთხრა წაიღე აწ ეს შინესა,
ფასი მოგვეცო ეტყოდენ არა თუ შეაგინესა,
ნავი მოუვა ამ ყრმასა რომე მიდგს აწე წინესა,
მაშინღა მოგცემ უკლებლად მისთჳს ნუ შეგეშინესა,
უთხრა ზერ დაპირებულსა ცოტა აქუს მისაწვდინესა,
და დაპირებისთჳს სავაჭროს ვინ მოგცემს მას დასცი-
ნესა,

კაცს ჰპირდები და არა გაქუს ტყუილი რა სასურია,
თუცა გაქუს პირსა გაუტყებ ოფლისა მოსაწურია,
რა საქნელია კაცისგან საქმენი უსურურია,
და ვერ გამოუძღებს მუცელსა ნაქადებელი პურია.

ამან ოდესმე საზრდო იყიდა, თჳთანვე აიკიდა და წამოიღო. ეს ყოველთ კაცთაგან უკჳირდათ. მიუგო მათ და რქუა: რა გიკჳირსთ, ჩემთჳს მიმაქუს სხჳისათჳს ხომ არა. ყოველის თავისათჳს მუშაკობა სირცხვილი არ არის. —

საზრდო რამე მოიყიდა იტვირთა და წამოვიდა,
ყოვლმა კაცმა გაიკვირვა მისგან ესე გამოვიდა,

მან მიუგო ჩემთჳს მამაქუს თქუენი რაა სადავიდა,
და თავის თავის მუშაკობა კაცს სირცხვილით არ დასწ-
ვიდა.

მეფეს ბრძენსა და გლახაკსა ყოველთა ეჭირებიან,
თავის რჩომისთჳს სარჯელი რისაგანც იშოვებიან,
ვერ მიხუდენ შვებით უცდელად თუ ჭირსა ერიდებიან,
და სხუის წყენითა და დაკლებით შენიცა გაჰქარდებიან.

ერთმა ვინმე უთხრა, მრავალნი გაქებენ. მიუგო: რა ბოროტი მიქნია.—

უთხრეს მრავალნი გაქებენ თქუა ავი რა მიქნიაო.

მანვე თქუა. სიკეთე იარაღი არის მოუშლელი.—

სიკეთეა იარაღი არაოდეს მოსაშლელი.

ამასვე უძრახეს. შენს მოწაფეთ ძლიერად ჰგვემ. მიუგო: დაკოდილს დასტა ქარიც მრავალს ჭირს აჩუენებს მაგრამ მოარჩენს. ეგრეთვე მკურნალნიც როდესაც სნეულთ მორჩენას მოიწადინებენ, მრავალს ფარეზს აქნევინებენ და მწარეს წამლებსაც შეასმევენ. და თუცა არ დაუჯერა უსაცილოდ მოკუდება.—

შაგირდის ჰევრის ცემისთჳს იყვნენ მრახვალის მოქ-
მელია,

თქჳა დასტა ქარი დაჭრილთა ბევრის სარჯულისა მქნე-
ლია,
აგრევე მკურნალიც ფარიზის ავ სასმელთ შემასმელია,
და თუ არ უსმინა მოკჳდება მისი რა დასანთქმელია.

მწვრთნელთა საწვრთნელთა ცემაზე რამც ჰქონდეს
დასაბრალები,
მკურნალთ უგემო საჭმელი ავამყოფთ შესაწყალები,
მებრძოლთა მტრისა საშიშრად ბასრი და მკჳეთი ხრმა-
ლები,
და მეფეთა ბოროტთ სიკჳდილი ქჳეყნისა შესაბრალ-
ები,

არისტოტელი პლატონთან ფილასოფოსობას სწა-ვლობდა ოც წელსა, და შეიქნა პატიოსანი ფილასოფო-სი და დიდის ალექსანდრეს მოძღჳარი. იმას ჰკითხეს: რა მოგემატა შენის ფილასოფოსობითა. მიუგო: მე იმას ჩე-მის ნებითა ვიქ, რასაც თქჳენ ძალით გაქმევინებენ.—

არისტოტელს პლატონ სწავლა სიბრძნე თჳსი ოცი
წელი,
იქნა ბრძენი საპატიო ალექსანდრეს მოძღჳრად მცდე-
ლი,

რა გემატა სიბრძნისაგან უთხრეს ხარო ჭირთა მკდე-ლი,
და მან მიუგო მე ნებით ვიქ რისაცა თქუენ ხართ ძალით მქნელი.

კარგი ის არის კეთილსა კაცი იქმოდეს ნებითა,
საცოდი ანუ უცოდი იცოდეს დაუკლებითა,
მას სიხარულით იქმოდეს ავთა არ მიახლებითა,
და თვარამ ძალით და ცემითა პირუტყუებრ გარდიცვლე-ბითა.

ამას დასძრახეს ბოროტს კაცს მოწყალება რად უყ-ავ, მიუგო: მაგასკი არ მივეც კაცის სახეს მივეც.—

მას დასძრახეს მოწყალება კაცსა უყო მეტად ავსა, მან მიუგო: ამად უყავ სახე კაცსა მიუგავსა.

ჰკითხეს. მეგობართათჳს როგორნი ვიყვნეთ. მიუგო: ესრეთნი იყვენით, როგორც ისინი თქუენთჳს გინდო-დესთ.—

ასე იყავ მეგობარზე როგორც ის შენთჳს გინდეს.

ამას ჰკითხეს რა უფრო მალ დაბერდება. მიუგო: სი-ყუარული და წყალობა. ამისთჳს რომ, მწყალობელიც იყო ვისიმე, მოჰკდება რომ მალ დაივიწყო.—

მალ დაბერდების საბრალო წყალობა სიყჳარულია.

მრავალჯერ აუწყებდა თჳსთა მეგობართა და მოწა-ფეთა, ვითარცა ღამე ბნელს მთვარე განანათლებს, ეგ-რევე ჰსწავლა კაცთა.—

კაცსა ჰსწავლა განანათლებს ვითა მთვარე ღამე ბნე-ლსა.

მსწავლული კაცი სხჳსისასაც მალ ნახავს თუ რა რა-ზე მისდევს. და უსწავლელი თავისასაც ვერ ხედავს.—

სწავლული კაცი მალ ნახავს რა რაზე მისდევს სხჳ-სასა,

კაცი უსწავლი ვერ ხედავს ვერც სხჳსისას ვერცა მისა-სა.

იტყოდა სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ ფოთოლი და ნაყოფი ტკბილი.—

სწავლის ძირი მწარე არის ნაყოფს მოგცემს ბოლ-ოდ ტკბილსა.

ყოველი სწავლის ძირი და დასაწყისი საწყენია. და რა ისწავლის თავისთჳს და სხჳათათჳს დიდი სასიამო-ვნოა.—

პირველ ჰსწავლა საწყინოა ბოლოდ ლხინი შენდა სხჳისა.

ჰკითხეს რა განყოფილება აქვს ჭკუიანსა და გიჟსა. მიუგო: რაც მკუდარსა და ცოცხალსა.—

სიბრძნე ხელობა მსგავსია მკუდრისა და ცოცხლის სახესა.

იტყოდა ჰსწავლა კაისნელში კაცის განმაშვენებელი არის. და უბედობაშიაც გამოსადეგი, როგორადაც დიონეს მეფე სირაკუზისა თჳსის ტახტიდამ გარდააგდეს, და თჳთან კორინთეს მივიდა. მსწავლული კაცი იყო, ყრმათ ჰსწავლა დაუწყო და იმათი გამოიზარდა. უკეთუ არა ჰსცოდნოდარა, საქმე გაუჭირდებოდა.—

სწავლა ბედში კაცს აშვენებს გამოდგების უბედობას,

ვით დიონოს სირაკუზთ მეფემ მოიკმარა გარდმოგდობას,

ყრმათ კორინთელთ ასწავლიდა მისჭდა მისგან საზდოს მზობას,

და თუ არიცის კაცმა სწავლა უჭირს სოფლის დაუნდობას.

სოფლის ქვევისგან სოფელში კაცს უძეს დიდი ჭირენი,

თავის რჩენა და დარჩენა მეტად რამ არის ძვირეჲ,
თუ არ ისწავლი რა გმართებს და ისე ცუდად ირეჲ,
და გაგიმძიმდების სიცოცხლე გახდები გლახა მწირეჲ.

ჰკითხეს მტყუანს თავისის ტყუილისაგან სარგებელი აქჳს რამე? მიუგო: ეს სარგებელი აქჳს. მართალიც რომ თქჳას აღარ დაუჯერებენ.—

მტყუანს ტყუილით ჰკითხვიდენ რა აქჳსო სარგებელია,
მართალსაც მტყუვრად გასინჯავს ვისიცა მიმგებელია.

ჰკითხეს რა არის მეგობარი? მიუგო: ერთი სული და მეორე გჳამი.—

მეგობარი მეგობრისა ერთი სული ერთი გჳამი.

იგივე იტყოდა. ზოგნი ასრე არიან ძვირნი, ვითამც საუკუნოდ აქ მყოფნი იყჳნენ. და ზოგნი ესრეთ იაფნი, ვითამცა ხვალ დაიხოცებოდენ.—

ზოგს ჰგონია სულ აქ ყოფნა ასე როგორც ჴელს უჭირებს,
სიუხვითა ზოგნი გვანან ხვალ წასვლისა დანამჭირებს.

ამასვე ჰკითხეს. რა არის იმედი? მიუგო: სხჳა არაფერი. როგორც მღჳძარისათჳს ძილი.—

ჰკითხეს რა არის იმედი ვით მღვიძარეთა ძილები.

ესე შეიქნა სამოცდა ორის წლისა და დიად ავად გაჴდა. მისის მორჩენის იმედი სუსტი იყო. მოვიდნენ მისნი მოწაფენი და ჰკითხეს: რომელს დაგვადგენ შენს ალაგსა. ამას ორი მოწაფე ჰყუანდა სხუათაგან უფრო გამგონე და მცოდნე. ფეოფრატ ლესვიტელი, და იმენდემ როდისხელი. მცირე ხანს უკან არისტოტელმა ღვინო მოითხოვა. როდისხელმა და ლესვიტელმან იშოვნეს და მოართვეს. დალია როდისხელისა და თქუა: ღვინო ესე მალიანი და გემრიელი არის ჭეშმარიტად. და შემდგომად ლესვიტელისაც დალივა ღვინო და თქუა: ორივ კარგი ღვინოები იყო. მაგრამ ეს უფრო გემრიელი არის.— ამა სიტყჳთა ყველამ შეიტყო, თავის შემდგომად ის ფეოფრატ ლესვიტელი გამოირჩია. სიბრძნით ორივ აქო, და თჳსი ნება აღასრულა, და ლესვიტელის თავის ალაგს დასმა ყველას ღვინით შეატყობინა.—

სამოც ორისა შორისა ჟამთა შეიქნა წლისა,
ავად გაჴდა და მორჩენა სათქმელად იყო ძნელსა,
ორი მოწაფე მორჩილი ჰყუანდა ცოდნისა მგრძნელისა,
იმენდემ როდისხელისა ფეოფრატ ლესვიტელისა,

ჰკითხეს შენს წილად ვინ ვიყოთ საქმეა რაც საქნელისა,
მან ღვინო სთხოვა მოარჩოვეს სასრულად მისათქმელისა,
რომლისხლის ჴელით დალია თქუა მალი გემრიელისა,
რა ლევიტელისა დალივა მგზავსია ორი მთელისა,
მაგრამ ესე ჰსჯობს გემოთი რისაც ხარ მოსართმელისა,
ყველამ შეიტყო ამითი მიცემა საცემელისა.
და ღვინით ორივე შეამკო ნებაც ქნა სამებნელისა.

სიბრძნე ამისთჳს კარგია რასაც იქს შვენიერადო,
მდაბალსა ასე მოიყვანს სიმაღლედ შესამზერადო,
სიტყვასა იტყჳის ქცეულსა სამკელოდ დასაწერადო,
და კაკაბსა ქორად შეგიცვლის მიმინოს მოგცემს მწყე-
რადო.

იგავნი კეთილ გონიერის არისტოტელისანი.

შენს თავს ნურც აქებ და ნურც აძაგებ. თუ თავს იქე-
ბ არაფერი იქნები. და თუ იძაგებ ქჳყანას ფარისევ-
ლად აღუჩნდები.—

თავსა ნუ იქებ არა თქჳან ავად რამ არის ქცეული,
და ნურცა იძაგებ დაგწამონ კაცია ფარისეველი.

ბრმას შეუძლია გზა აჩუჱნოს ვისმე, ანუ გლახამ გაამდიდროს ვინმე. ეგრეთვე შეუძლებელ არს, პატივის არა ღირსისა პატიოსნად ყოფა.—

ბრმამ გზა ვიჩუჱნოს არიქნას გლახაკმა გამდიდრებანი,
და დაიწყოს უპატიურმან პატიოსანად რებანი.

კაცი ზომიერად უნდა გაჯავრდეს, თვარა მეტი ჯავრი უგუნურად ქცევა არის და უდარესი ყრმათა.—

ზომიერ გაჯავრდებოდეს მეტსა ნუ შეიწყნარებსა,
და მეტი უმაწვილთა ამსგავსებს უგუნურს დაადარებსა.

უკეთუ კეთილი არა ქნა, ბოროტს მაშინც ნუ იქ.—

თუ კეთილი აღარა ქნა ბოროტს მაშინც გაეყენე.

ვითარცა ოქრო ბრძმედით განწმდება, ეგრეთვე კაცი საქმეში ჩაგდებით გამოიცდება.—

გამსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა გამოცდილება.

კეთილის კაცის ნიშანია უდროოთ ბოროტის მოთმინება. ბოროტს ნურავის შეამთხვევ და უსამართლოს ნურავიზე მიიდებ, თვარემ შენსავ თავს ჩააგდებ უსამართლობაში.—

სხჳისგან ავის მოთმინება კაცსა კარგა მოუჴდება. და ბოროტი და უსამართლო სხჳსაზე თჳთანც მოუჴდება.

ბედში მეგობარს დიდხან ვერ იცნობ. და უბედურობაში ერთ ჟამსაც იცნობ.—

სვეში მოყუასს გვიან იცნობ უსვეობა მალ გაცნობებს.

არისტოტელი ორგვარის კაცის საქმეს ჰკჳრობდა. ერთს იმას ვისაც ტყუილად აქებენ და უხარიან. მეორესი. ტყუილად რომ აძაგებენ და არ ჯავრობს.—

ეს ორი კაცი უკჳრდა არისტოტელსა რომელი, ტყუილის ქების მდომელი არცა ძაგების მწყრომელი.

ერმის ოსტატ უფროს პატივეც მისთ მშობელთაგან. მათგან დაბადებულა უგონო, და ოსტატთაგან მიუღია კეთილ ცხოვრებიანი გონება.—

მშობლისგან მოძღჳრის პატივი არის რამ უკეთესია, მით უგუნურად მოვიდა მას სიბრძნე შთაუთესია.

გაიგონა. ერთს ვისმე ამიტომ აქებენ, რომ დიდ ქალაქში დაბადებული არის. მიუგო: ხარისხის ალაგიც თუ დიდი აქჳს მეც მიქია —

აქედენ ვისმე მოესმა დიდს ქალაქს არის შობი-
ლი,
თუცა აქჳს კაი სასჯელში მეც ვაქებ არის მკობილი.

ათინელთ მალმალ ამაგებდა, მრავალი კარგი სამა-რთალი გაარიგეს, მაგრამ ბოროტს საქმეს ირჯებიან სამართალს გარდა.—

უზრახევდა ათინელთა სამართალი გაარიგეს,
მაგრამ თჳთონ არ იქონიენ იმ წესისა დანარიგეს.

სენკრატს პლატონის მოწაფეს, ოდესმე ალექსა-ნდრე მაკედონელმა მრავალი თეთრი გაუგზავნა, და სამის ბერძულის ორშაურიანის მეტი არა აღიღორა. და სხჳა უკუვლივე იგევ მიუბრუნა. ესრეთ შეუთვალა მე-ფეს უფრო ბევრი უკამს. ამისთჳს რომ, წარსაგებელიც უფრო აქჳს.—

პლატონ ბრძენისა სენკრატ იყო მოწაფეედა მისი მა-
დრე.
ბევრი თეთრი გაუგზავნა ხარჯად მეფემ ალექსანდრე,
სამს მისხლამდე ძლივ აიღო შეუქცევა იგევ ადრე,
და მეფეთ უფრო ეჭირება ხარჯიცა აქჳს მათვე ჰკადრე.
რასკეთის რომ კაცმა იცოდეს ზომა და მისი წესი,

მეტსა არ ეჭირდებოდეს მასზე არიყოს მკურნალები,
ზოგნი სიმაღლედ იწევენ ვის ბედი აქუსან ზესენი,
და დაუოდდება ისიცა რაცა აქუს დანათესები.

სტუმრად იყო და ჩუმად ჯდა. ერთმა ბევრ მეტყუელთაგანმა ჰკითხა, ჩუმად რატომ ხარ. მიუგო: ერთხელ ერთის ჩემის სიტყუისათჳს ბევრი ვინანე, და ჩუმათ ყოფნისათჳს ჩემს დღეში არ მინანია. და ამისთჳს ჩუმად ყოფნა ვირჩიე.—

სტუმრად იყო ბევრ მეტყუელმა ჰრქუა მდუმრობა რად იკარგე,
უთხრა სიტყუით ერთხელსამე ნანა მომხუდა არ სავარგე,
როსცა ვიყავ დაჩუმებით არაფერი არ დავკარგე,
და მას დღესუკან მდუმარობა გავინუზლე გავიბარგე.

მდუმრობა არის საუნჯე ბრძენთაცა მოსანდებელი,
ენა მუდმისად მეტყუელი ცეცხლია მოსაგზნებელი,
წასთქუამს ასეთსა იპოვოს გზა ველარ გასაგნებელი,
და თუ ენას კლიტე არა აქუს ჭირია ულხინებელი.

უქმის მეტყუელებით კაცი ბევრს ასეთს განსაცდელში ჩავარდების რომ, ჩუმად ყოფნით მორჩების.—

რასაც ჩუმობით მორჩენი თქმით ისივ გაზიანებსა,

სენკრატმა ერთს მრავლის მეტყუჳჱლს უთხრა. მრავლის მეტყუჳჱლებით ცოტას მოგცემენ. ამისთჳს რომ, ყური ორი გვაქჳს ჲ ენა ერთი.—

ცოტა მოგცენ სენკრატ იტყჳს ლაპარაკის განმრავლებით,
ყურსა ხედავ ორნი გვქონან ენა ერთის მონაკლებით.

## მისჳმე არისტოტელის მცნებანი.

პარველად პატივეც ღმერთსა ჲ მასუკან მშობელთა. ჲ ყოვლს კაცს სიმართლით მოექეც.—

პირველ პატივი ღმერთსა ეც მერმე მშობელთა შენთაო,
ყოვლს კაცს სიმართლით მოექეც უგვანთა შესაგვანთაო.

თუ ბოროტს განიკითხავ ღმერთი შენ განგიკითხავს.—

თუ ბოროტსა განიკითხავ იცი ღმერთიც განგიკითხავს.

სიღარიბეს კაცს ნუ დასცინი და სიწმიდე დაიმარხე.—

სიწმიდით იყავ ნუ ჰკიცხავ კაცისა სიღარიბესა.

უმეტესად სიმართლის სასწორი მტკიცედ იპყარ.—

შენ სასწორსა სიმართლისას მაგრა კელი მოუჭირე.

უდიერს ნურავის უზამ ცოდნითა გინა ნდომითა.—

ცოდნით და ნდომით ნურას იქ საქმესსა უდიერსა.

ნუ ფიცავ წინაშე ღჳთისა რომელ საძაგელ არს.—

ნუ ფიცავ ღჳთისა წინაშე საქმეა საძაგელია.

დაწყევლილია ვინც მევალეს მაგიერს არ მისცემს. ანუ საწყალს შეაწუხებს.—

ნუ შეაწუხებ საწყალსა ვალსა ნუ უჭერ სხჳისასა, წყევა მიხჳდება სამართლად მოქმედსა ამ საქმისასა.

დიოდენ კინიკ მოწაფე ანტიფენისა. ამას ამისთჳს უწოდეს კინიკ, კორცით მობილწართ საქჳეყნოდ შეარცხვენდა და მოაშლევინებდა. ამისთჳს განუმტერდენ და კინიკ უწოდეს.—

დიოდენ იყო კინიკი მოწაფე ანტიფენისა,
კორც ბილწებისა საჯაროდ მძრახველი მძვრელი ენისა,

მომშლელი იყო ამითა მრავალთა მათის ზნებისა,
და მტრობით კინიკი დაარქუეს სანაცვლოდ მისის წყე-
ნისა.

კაცსა მისცეს რაცა ღმერთმან შენაჩუღლად შენაჭუ-
ფთად,
ჰსჯობს რომ სჯულით მისი წესი შეინახოს მეტად სუ-
ფთად,
არ გასდოს ქალწულება აღსაფრენი მადლია უფთად,
და არ შეიქნას სოფლის მრახვით დასანაყად დასაგუ-
ფთად.

ნახა ერთი კაცი, გასაწმედად წყალს ისხემდა. უთხრა ჯი კაცო. წერილსა წინააღმდეგი რომ სთქუა, წულით იმისი განწმედაც არ შეგიძლია. თუკა დაასხამ ქადლდია და დალპება. ბოროტის საქმე და ცოდვა წულის დასხმით ვითარ გინდა განსწმიდო.—

ცოდვილი უვინთსა იქმოდა ეგონა განმიწმდებისა-
სა,
უთხრა უგბილო რასა იქ საქმეა უდებებისა,
წყალი წერილსა დაასხა ვერ გასწმედს დაცა ლპებისა,
და თვარა რით გასწმედს მისგამტეხს ცუდია განქარ-
დებისა.

წყალი ერთ ჯერად გამწმედი სულისგან აღმოშო-
ბითა,
წყალი გვერდითა მცენარი თაყუჳან საცემი მკობითა,
თვარამ სხუა ყველა ცუდია უსჯულოთაებრ მობითა,
და ვერას მიმცემი კეთილთა სასმბო არაკობითა.

ჯი ბოროტი თავკედლიობა, მომაკჳდინებელი ცოდვა,
ერთხლის მეტად მდინარის წყლით გინდა განსწმიდე.—
ნუ სჯერხარ ცოდვის განწმედა ცუდის წყლით არ
იქნებისა.

ამანვე ერთს დროს დღისით სანთელი აანთო. გავი-
და ქალაქში და ეძიებდა რასმე. ჰკითხეს რას ეძებო. მი-
უგო: კაცს ვეძებ.—

დღისით ბაზარში სანთლითა ეძებდა იარებოდა,
ჰკითხეს რას ეძებ კაცს ვეძებ ჩემის სიტყჳსა მგებო-
და.

ერთხელ დაჯდა და დიდროვანს სწავლაებს მოჰყვა
და არავინ გაუგონა. შემდგომად დორეულებ ჭყვირილი
დაიწყო. მრავალნი კაცნი შეკრბენ, ყურიც მიუპყრეს და
ჭურეტაც დაუწყეს. მიუგო: ეს თქუენი დიდი სიბორო-
ტე არარის, კაცი დორეულებ ჭყუჳარი და მრავალნი შე

კრძით. რომელსაც კეთილ ცხოვრებოანს საქმეს ვქადა-გებდი მაშინკი არავინ გამიგონეთ.—

დაჯდა მოჰყვა დიდ სწავლასა არვინ უგდო მართლა ყური,
დორებ იწყო დაჭყუჭირილი იქმნენ მიმსვლელ მინაშური,
არ გრცხვენიანთ ესე რამე გულითა გაქჩით მონასური,
და კარგსა ყური არ მიუგდეთ რაცა იყო შესაშური.

უცხოა ესე სოფელი მაშიგ მყოფი და მდგომელი,
კეთილის არას მოწადე ზოროტის ყოფრო მდომელი,
ვერ დამნახავი საქმისა ვერასი ვერ მიმწთომელი,
და ასეთს იქს თავი ჰგონია მისაცმში გაუცდომელი.

სტრაფჩი ათინელთ დიდის პატივით ჰყუჩანდათ, მა-გრამ დაბალ მოსამსახურეთ უწოდდენ. ამისთჳს იმათ-თან ლაპარაკს არ კადრულობდენ, და ისინი იმათ პირს არ [illegible]

სტრაფჩის ათინენი პ[illegible] [illegible]დენ მაგრამ ჰყუჩანდათ დაბალ მონად,
მათ თქმა [illegible]კადრიან არც იგ [illegible]ჩენ პირფერ მგონად,

ცინნა ტრაგედია. გარდათარგმნილი ფრანციცული-
დგან. თა. ა. ჭავჭ.

სწავლა და ხელოვნება.

მოქმედება სიტყვის გება სოკრატი. თარგმნილი რუსუ-
ლიდგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისა-
გან და ლექსად ნათქვამი მეფის ვახტანგისაგან.—